


შინა თაღუაძე
(თბილ)



ბუფის ქალი
ლაქები

შორენა თალახვაძე

(ოპო)

ზურგის ქარი

ლაქსაზი

გამომცემლობა „ნიჰრინტი“

თბილისი

2019

რედაქტორი

პოეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, რიტორიკის სკოლის ხელმძღვანელი
ცირა ბარბაქაძე

კორექტორი

მაკა ბურდიაშვილი

დაკაბადონება

თამარ ბოგველი

მხატვარი

ზვიად ჯაფარიძე

გამომცემლობა „აიპრინტი“

ISBN 978-9941-8-0984-2

რედაქტორის წინასიტყვაობა

ქარნაღებული ბარათები

ადამიანი ემოციების სკივრია... აგროვებს და ინახავს, აგროვებს და ინახავს... აგროვებს ყველაფერს: დარდებს, სიხარულებს, სუნებს, გემოებს, ფანტაზიებს, ოცნებებს... და ეს დაგროვილი განცდები კი ერთ მშვენიერ დღეს გამოძზეურებას მოსთხოვენ... ისიც გახსნის სკივრს და დაიწყებს სტრიქონებად ამოლაგებას...

ყველა შემოქმედს თავისი სათქმელი აწვალებს და შენ მაგივრად კი სხვა ვერასდროს იტყვის. ამიტომ სულერთია, როგორ სტრიქონებს ქმნი, საუკუნეებს რომ დარჩება, თუ ერთ კონკრეტულ მკითხველამდე რომ მიაღწევს და გულს გაუხსნის... მთავარი - გამოთქმაა, ემოციების სიტყვების ენაზე გადმოთარგმნაა. ამიტომ ჩვენი ავტორიც ასე მძაფრად განიცდის მოწოლილი ემოციების ნაკადს. ემოციათა ეს მოძალეზა უნიკალურია და შორენა თალაკვაძე კი ასე გამოთქვამს:

*„რა სალვადორი, რაღა მონე, რისი გოია,
ჩემი მუხები დედამიწას ფეხით მოიარს,*

შორენა თალაკვაძე

ასე ფერადად ვის აჩვენა ტილო ბოკაჩომ,
როცა მაწვება ფერთა გამა ლამის მომახრჩოს...“
(„მე მაპატიეთ“)

თითქოს არც არაფერია ახალი ცისქვეშეთში... ყველაფერი ძველია და ახალიც კარგად დავიწყებული ძველი, მაგრამ, როგორც სამყარო არ ნებდება არავის სურვილს, ასეა ჩვენი ავტორიც:

„ისევ ბერდება და არ ნებდება
არავის სურვილს სამყარო ძველი...“

შორენა თალაკვაძის ზოგიერთი ლექსი იმდენად ვიზუალურია, რომ კითხულობ და სურათს ხედავ: როგორ წვიმს... წვიმაში - ლამპიონები და გზაზე - მარტო კაცი... ეს სურათი ლექსში ასე გამოიყურება:

„ნისლიანი საღამო, წვიმისფერი ქუჩა,
მყუდროებას, საამოს, ბოლო აღარ უჩანს,
მარტო ლამპიონები, მარტო კაცი გზაზე,
მარტოობის მონები, წვიმის წვეთის ხმაზე!“

და ისევ დრო... დროსთან დიალოგი, დროსთან კამათი, დროიდან გასვლა და დროში დაბრუნება... გამოსავლად კი ავტორი განდობას გვთავაზობს.

ეს სტრიქონებიც შორენა თალაკვაძის განდობაა მკითხველისადმი, ლოდივით რომ აწვა სულს და ახლა კი სიტყვებით გათავისუფლებულან... ქარწაღებული ბარათები ერთად შეკ-

რებილან ამ წიგნში და თავის მკითხველს ელოდებიან! მე კი
ბედნიერ შეხვედრას ვუსურვებ მათ!

„დრო არ გემორჩილება,
არ სჩვევია დანდობა
ასე რატომ ინება?!
- მოუხერხე განდობა,
- როგორ გასცდე დარაბებს,
არ დაგაწვეს ლოდივით
ქარწალებულ ბარათის
უსასრულო ლოდინი!“

ცირა ბარბაქაძე

ავტორის წინასიტყვაობა

ბათუმის პატარა უბანში დავიბადე, ბენზეს ემახიან, დასახლება ასეთი, იქედან იწყება ქალაქი და მთავრდება... როცა მოდიხარ, დღემდე ის სანაპიროა ჩემი, სადაც ახლა „პრიჩალი“ მოაწყვეს (ასე ემახიან ადგილობრივები). ზღვა იქ ყოველთვის მშვიდია და სუფთა, ისე მიხარია რომ იქ დავიბადე და არა სხვაგან. ყავის, ზღვის და რელსების გაჯერებული სურნელი დამრჩა და მიყვარს დღემდე, ჩემი ფანჯრები ზღვისკენ გამოდიოდა და ყოველ ღამე მაძინებდა ტალღების ხმა, მეორე მხრიდან მატარებლის რელსები.. და განრიგით ყველა მატარებელს ველოდებოდი, არასდროს შევუწუხებია ვარ, ...ახლა ვარქმევ იმ დროს ბედნიერებას! მერე გურიაში სკოლა დავამთავრე: მეგობრები, წრე, გარემო, ხასიათი... როგორც ხდება ზუსტად ისე მი-ვიღე და დავიტოვე სულ ჩემთან, წერა დავიწყე.. .სულ ვწერდი, ყველაფერზე რასაც მოიტანდა განწყობა, დღიურებს ვმაღავდი, აუცილებლად ჩამვრებოდა ვინმე ცნობისმოყვარე, ყოველთვის ვაპროტესტებდი, მაგრამ ვინ გისმენდა... სხვა გზა არ იყო, ვმაღავდი საგულდაგულოდ, ბოლოს ისე დავმალე, მეც ველარ ვიპოვე და დამეკარგა, ყველა აღწერილი ემოცია პატარა

ბავშვის, რას არ მივცემდი ერთი თვალის გადავლებაში ახლა, ასე დამეკარგა ხელნაწერი რვეულიც, ლექსებით სავსე, მაგრამ ის უკვე სტუდენტობის პერიოდის იყო. სტუდენტი რომ გავხდი ბავშვობის ოცნება ავისრულე, ჟურნალისტობა მინდოდა, ვერ გამოვიდა ისე, როგორც მინდოდა, აქტიურ ჟურნალისტიკას ვერ ავყევი, მიზეზებს რა დალევს ასეთ დროს... მაგრამ სულ მქონდა ჩემი ვირტუალური საავტორო გადაცემებიც და სიუჟეტებიც, რასაც მნიშვნელოვნად ვთვლიდი, ესეც დღიურებში გამოვამწყვდიე. გავაგრძელე წერა... მძაფრი ემოცია გაწერინებ-სო, სულ მძაფრი არაა ყველა ემოცია?! - უმაგისოდ ვერაფერს ვაკეთებ, სადილსაც კი...

P.S. ხშირად მეკითხებიან რატომ-ოშო? არაფერი საერთო ინდოელ გურუსთან, არანაირი მიმდევრობა და ფილოსოფია. ზოგადად არ ვაღიარებ მსგავს მიმართულებებს, ადამიანის სული იმდენად ძვირფარსია და უნიკალური, მიმდევარი საკუთარი თავის უნდა იყო მხოლოდ და რა დასანანია წუთიც კი, სხვისი მოძღვრებით გაჯერებული.

ოშო პირველად მამამ დამიძახა, სულ პატარა ვიყავი, მერე მთელმა ოჯახმა აიტაცა. ისეთი ორგანულია ჩემთვის. მონატრებით, სიყავრულით და მოფერებით დედაჩემი დღესაც ასე მეძახის- ოშო!

შორენა თალაკვაძე



მე მაპატიეთ

რა სალვადორი, რაღა მონე, რისი გოია,
ჩემი მუზეები დედამიწას ფეხით მოიარს,
ასე ფერადად ვის აჩვენა ტილო ბოკაჩომ,
როცა მაწვება ფერთა გამა ლამის მომახრჩოს,
თითქოს აუხსნეს ექსკურსანტებს პოზა დავითის,
ან სილაჟვარდეს გაუტოლეს მზერა დავინჩის,
ვინ შეაჩერა დეგას თეთრი ბალერინები,
ალბათ აიკლო მოედანი მთვრალმა გინებით,
უტიფარ, აშარ ლამაზმანებს ქმნიდა რუბენსი,
როცა იაფად უფეთქავდა გული უბეში .
რა სალვადორი, რაღა მონე, დუმდნენ ყველანი,
ამ შთაგონებას გაუტოლდეს ქვეყნად ვერავინ.
არც იოცნებოს ფიროსმანმა მთხოვოს ფუნჯები,
მე მაპატიეთ, სიყვარულთან ყველა ვმუნჯდებით!

* * *

თუ წვიმის ხმაური - უხეში ფონია,
დაღლილი ქუჩების - აჰყვები ფორიაქს,
დღე - ხელში ყინულის ნატეხი გგონია...
და ხელის გული რომ გულის ტოლია,
...თუ ასე გგონია...
შენი გზა გულამდე... ძალიან შორია.

...გალაკტიონი

...გალაკტიონზე ამბობდნენ: - ურჩი იყო,
გამგონე მხოლოდ ღამის და თბილისის,
არ აწუხებდა ივლისის გახურებული დუქანი,
თავზე ადგაო უფალი.
ვინ დაინახა, ვინ იცის,
რამდენხანს იჯდა იმის წინ,
სანამ წერდა და ამკობდა,
რასაც უფალი ამბობდა.
მერე შრიალით ფურცლავდნენ
ამ ნაკარნახევს ქუჩები,
ყინვისგან დასუსხულები იმეორებდნენ ტუჩები:
მოდარაჯე კაცის მზერით წუხდებოდა მესაფლავე,
თიბათვეში მზერა მერის ათენებდა მხოლოდ ღამეს
და მტვრიანი ყვავილების სურნელება ისევ იდგა,
იმ ქუჩაზე, სადაც ბავშმა წელან ფეხი წამოიკრა.
ურჩობდა... მარტო წუხდა დარჩენას,
მადლობა უფალს და მის გაჩენას!

2015

მონატრება

...როცა წლები გაიხურავს კარებს,
მონატრება ემსგავსება სუროს,
რომ ვიხსენებ მაგ თაფლისფერ თვალებს,
გული მტკივა, სევდა ისევ მსტუმრობს,
მაგონდება დარდიანი სახე,
შენი დიდი სულგრძელობის ხანა
სიყვარულით გამოწვდილი ხელი,
მზრუნველობით დაუღლეელი ჯარა.
თბილი სიტყვა, გაღიმება შენი,
ულალატო, ანთებული გული,
მოფერება, დაყვავება მხსნელი
და თვალებზე უკიდები რული,
შევავედრებ ყველა წმინდა სანთელს,
გაგინათოს, გაგინათოს გზები,
თუ სავალი მიეცემა სათქმელს,
დაგეწევა ალბათ სიტყვა ჩემი,
რომ მიყვარხარ ისევ ისე ძლიერ,
თურმე რასაც უკვდავება ჰქვია,
შენი სულის ნათელ ფერებს ვადრი
და ამას კი - გეუბნები გვიან!

2016

* * *

ფეხაკრეფით გავიარე ტირიფების შრიალში,
კორდი, ქვები ხავსიანი, მდინარე და გვიანი
ენძელეების სურნელეზა ზადავივით მათროზდა,
არაფერი მაფიქრებდა და არავინ მახსოვდა.
მთები, ხმები გაზაფხულის, ალიონის ცვარ-ნამი,
ისე ნაზი და საამო, როგორც ხმები გალობის,
ხალხი თბილი, კრიმანჭულის გაზნეული მარავით
ჩიჩილაკის ნაზამთრალი მოტანილი ზარაქით,
კერიაზე შემოდგმული მოთუხთუხე ჩახანით,
კეცის თავზე მოზნეული ნაკვერჩხლების გაგანით,
ორლობეში ჩამოვლილი კრუხ-წიწილის კაკანით,
მომეგება გაზაფხული ამ საოცარ მხარეში,
დედაჩემის გულისცემა ირეოდა ღამეში,
მომამახა... გავიგონე - „ნეტავ, სულ არ გამეშვი“
სადაც უნდა ვიყო, დედა, ჩემი გული შენია
აბა მაგის მოიმედეს, სხვაგან რა დამრჩენია.
სიზმრად ვხედავ რიჟრაჟს ზარში,

შებინდებას მთებისას,
ნარინჯისფრად მილეულ ცას, ვისაც ნახვა ეღირსა
ამ სიყვარულს გაიყოლებს

საგზლად მთელი ცხოვრება,
გურიაში სადღეგრძელოც, არის... დიდი ცხოვნება!

2015

გური თალაკვაძეს

კვამლის გემოჩატანებულ
სადილს უცდის ბერიკაცი,
რომ გაუძღვეს: ძროხის ბღავილს,
გოჭის ჭყვიტინს, ურმის ჭრიალს...
ყანის თოხნას, ცელვას, მოხვნას,
ეზო-კარის მისებრ მოვლას...
ყურძენს, კალოს, შეშის პალოს...
ოჯახს თბილს და მასპინძლიანს...
გამორჩეულ ბედის კაცი,
კვამლის გემოჩატანებულს
სადილს უცდის ბერიკაცი!

2014

თამარს, ჩემს მეგობარს

(ცხინვალი-ერედვი-თბილისი)

წავა - წამოვა ჟამი უნიათო,
უნდა გაგიმეტოს - გულით უვლიათო,
ჯერ სად უვლიათო, ჟამო ჯავრიანო,
გულმა სიტყვაძუნწმა აღარ ჩაგრიანო,
თო...რემ რამდენია კიდევ გასავლელი,
ზოგი აშვებული წუთი ნეტარი და
ზოგი დასაბმელი... როგორც მხედარიდან
რაში მოწყვეტილი, ურჩად მონავარდე,
ჟამო უნიათოვ, ველარ დაეწევი,
წამებს სიკეთიანს ვერსად გაექცევი!

2008

ანა კალანდაძეს

მეც რომ შემხვდა, შავტუხა და თმებგაშლილი,
თვალი ვარსკვლავებს დაუთვლიდი ანთებულს,
მეზღვაური არსად ჩანდა... ბოშა ქალი
სანაპიროს მიჰყვებოდა მარტო... სულ,
ავედევნე შეუმჩნეველ ნაბიჯებით,
არ ჩამოვრჩი სანაპიროს ბილიკებს,
მსურდა, თვითონ განმეცადა რასაც გრძნობდი,
მისი ნახვით ასე რომ მოიხიბლე...
- "და რა ქალი, ხელის გულით სატარები" -
"ელვის-ცეცხლით" ანათებდა ქვაფენილს,
მართლაც მისი არ ყოფილა სადარები,
ქარი დალალს უწეწავდა დაფენილს,
ეგ თამამი, ამაყი და თავმდაბალიც,
ბოშა ქალის ბროლის კბილთა ღიმღილებს -
უბრად როგორ ჩაუვლიდა მეზღვაური,
არ ეთხოვა - "მაკოცეო ჭირიმე!"...
ნახვად ღირდა, მოხდენილად სიტყვა-კაზმულს,
სიყვარულსაც დაარქმევდი თუ იყო...
თორემ ამ ძველ სანაპიროს ბილიკებზე,
თვალხატულა ბოშა-ქალი სულ იყო!

2016

* * *

მერე რა, რომ წლები აღარ დაბრუნდება,
რომ ჭადარა გაგვერია თმაში,
რომ არასდროს არ იქცევა წკაპუნებად
შენი მძიმედ სატარები ქოში,
რომ სურვილი ველარაფერს აუტეხავს
ბნელ ქვევრებად დამიწებულ - მინდას,
რომ აღარ ღირს ხასიათის გაფუჭებად
ის, რაც ადრე გეგონა, რომ ღირდა.
მერე რაა, რომ ფარდებია დასაშვები
დარბაზი თუ დაქუხდება ტაშით,
რომ ამისთვის აღარაფერს დაემებდი,
გეგონება... გეგონება მაშინ!

* * *

გავლილს - გამოივლი, ჩავლილს - ამოივლი,
ნათქვამს დაიბრუნებ სიტყვას,
უკან გზაჯვარდინს ისე მოუხედავ
თითქოს არჩევანი ღირდა,
აღტას გაიხედავ, ბაღტას დაინახავ
მხოლოდ იმიტომ, რომ გინდა!
...ბოლოს მიხვდები, რომ ყოფნა მულაჟებში
ერთი წუთითაც არ ღირდა!

მამას

რატომ დამემდურე ასე უმიზეზოდ,
იქნებ გაწყენინე რამე,
როგორ დავიჯერო აღარ გეფიცება
უკვე მეტად ჩემი თავი,
რამე მოიფიქრე, ჩემო გონიერო,
ჩემო სანთელივით წმინდავ,
ისე მენატრები, ისე მენანები
ისევ შენთან ყოფნა მინდა!
იქნებ დამესიზმრო ხშირად გენაცვალე,
თხოვნა გაიგონო ჩემი,
როგორც ბავშვობაში ისე მომეფერე,
თბილი მოფერებით - შენით,
ჩემო გატანჯულო, დიდო კაცთაგანო,
ჩემო უიღბლობის ერთავ,
აღბათ დაფასდება ყველა სიკეთე და
ახლოს დამკვიდრდები ღმერთთან.

* * *

უსმენენ სონეტებს, ვალსებს და გარსიას,
ყველაფერს მოედნენ, ჰგონიათ ფასი აქვს,
უიღბლო პოეტის ნაბოდეგარ სიკეთეს,
თავისთვის ყავასაც ცუდად რომ იკეთებს!

* * *

სხვას ვიპოვი, აბა რა,
სხვას ვიპოვი უშენოდ,
მისი ცხრაკლიტულიდან
ხელს დაგიქნევ, უჯეროდ,
თავისუფალ სივრცეებს გავაყოლებ ყალიონს,
იქ რომ დამათენდება, ისეთივე ალიონს.
შენი ნახვის სურვილი “ამომადგებს ფორმიდან”,
ათიათას სიგიჟეს რომ ჩავიდენ... მომინდა,
გითხრა რასაც ვფიქრობ და გადავიჭრა ვენები...
აღარაფერს არ ვიზამ, თუკი მომეფერები.

* * *

ოქტომბერია... შენთან მინდა, როგორც მაისში,
მინდოდა მაშინ... აგვისტოში ზუსტად ისევე,
როგორც მარტში და სექტემბერში, ისე აპრილში,
ნოემბრის ბოლოს, დეკემბერიც მაძლევს იმედებს,
მე შენთან მინდა თებერვლიან უდღეურობას,
წუთებს რომ ართმევს

თითქოს ზამთარს ხალის-ხალისით,
მე შენთან მინდა დარში, ქარში, უმზეურობას,
მე შენთან მინდა და არც ვიცი... შენკენ რა ისმის.

2017

* * *

პატარა ქუჩა,
ძველი უბნის
სახლები ძველი,
ფანჯრიდან მოსჩანს
როგორ წვება ქალაქზე მტვერი,
ანათებს ღამეს ლამპიონის მბჟუტავი შუქი,
ფერები არა... მხოლოდ ერთი და მხოლოდ მუქი!
რა გინდა მეტი...
დროს და სივრცეს თუ არ ნებდები,
და თუ ღმერთი გწამს, ნუ წუწუნებ
- როგორ ვბერდებით!

2018

დრო

რას დაეწევი დროს, გამეტებით -
მიქრის წუთებად ქცეული წლები,
ისევ ბერდება და არ ნებდება
არავის სურვილს სამყარო ძველი...
თითქოს საამო, მაგრამ, გამოს?
არ დაიჯერო... ტყუილად ელი,
შეჩერდეს წამი, გაგიჟდე ლამის,
მაინც წაგართვა ლამაზი ჟამი,
ისევ ტრიალებს და... დასტრიალებ
უკვე სიბერეს უძლური ჯანით,
არ დაიჯერო, სადმე... ოდესმე,
თუნდ ერთი წუთით შეჩერდა წამი!

2015

* * *

აიწურება ბროწეულები
მიმოლეწილი კალოს რიდითა,
დაიწურება მარცვალი ყურძნის,
ეს შემოდგომა თუკი ეღირსა,
გაივლის წყარო ბებერ კალაპოტს,
პეშვის მოკლებით არ დაილევა,
ეს გაზაფხული რასაც გთავაზობს,
კაცი იმითაც გადაირევა,
ნუ მიეცემი ყველა განცხრომას,
არ დაინანო ღიმილი, ცრემლი,
გადაიტანე ყველა განწყობა და
ასეთ ძვირფასს ყოველთვის გელი!

2016

* * *

- რამე უნდა მკითხო?
- რატომ გადაწყვიტე?
- ისე მიფრიალებ მზერით ათას კითხვას,
- ნუთუ გამყიდველი შემრჩა გამოხედვა?!
- მიდი შემეკითხე, მერე რა მოხდება?
- რომელ ერთზე გკითხო: მზე რომ გამიმუქე
თუ გზა ბილიკად რომ წვრილ-წვრილ
გამიმრუდე?
- ან... რომ ჩამიმტვრიე ლურჯი ლამპიონი,
როცა განათებულ ქუჩას გავდიოდი?!
- თუ ის გავარკვიო, რატომ დამიძახე,
როცა დაჟინებით წასვლა განვიზრახე.
- რატომ დამახვიე პასუხ-საფიქრალი?
- მე ხომ არ მინდოდა, თვითონ ამიშარდი!
მხოლოდ გამოგხედე, წყენას ვიყუჩებდი,
რამ ვერ მოგასვენა ასეთ სიჩუმეში?
- ახლა მიპასუხებ - რახან მათქმევინე!
ხედავ? შევარჩიე რაღაც... რამდენიმე!

2016

* * *

მყავს ორი ვაჟი, ქმარი, ოჯახი,
ვუსმენ ბოჩელს და მხიბლავს მოცარტი,
არ ვწონი ვნებებს საით მეტია: სურვილი,
ვალი თუ ტრაგედია,
ვცხოვრობ თავისით, ვყვები დინებას,
რაც ჩემში ასე მოედინება!

* * *

არ მიყვარს ზაფხულში ზამთარს რომ ნატრობენ,
ზამთარში თიბათვეს ქებით რომ ამკობენ,
ყველა დრო თავის წილ სიყვარულს ატარებს,
სუსხიც და ალუბლის მომჟავო სურნელიც,
რთველისგან დაღლილი გოდრების დუმილიც,
ზაფხულიც - საოცარ განცდათამჟყრობელი
დრო რასაც მთავაზობს, მეც იმას მოველი
მიყვარს ზამთარში დაზამთრება
და... ასე ყოველი.

2015

* * *

არაფერს ისეთს, უბრალო მითებს
მიყვება ღამე მთვარეულ ფლირტებს,
როგორ უყვარდათ: ძლიერ, ღირსებით,
ღამაზად, გულით, თავდავიწყებით...
უყვარდათ ადრე... და უყვართ ისევ.
არაფერს ისეთს...
მიყვება ღამე უბრალო,
ღამაზ, ნახოტბარ მითებს.

ბერიკასი

სამშვენისად შერჩეული საღამო,
ძველებური, ჩრჩილნაჭამი ქუდი,
პლაშის მკლავზე დაკიდული ქოლგით
და ჩამქრალი შემოდგომით ფეხქვეშ,
ეშურება დახვეწილად, საამოდ
ბერიკაცი ამ ცხოვრების ელფერს.

2015

* * *

ქვიშის საათი სანამ ჩაიცლება,
სანამ მოთმინებას გული მიეცემა,
სანამ სინანული ისე შემადრწუნებს,
რომ სიყვარულიც ვეღარ შემაწუხებს,
სანამ გაზაფხული ფერებს მომანატრებს,
სიბერე - სუსხიან სითეთრეს მომანათებს!
სანამ თვალეზშია დიდი მოლოდინი...
...ცხოვრება მიხარია,
მერე... ბილიკებიც ძნელად სავალია!
მერე - სიკვდილი?.. გამოსავალია.

2014

დღიურები

ვსველდები სიჩუმით, გავდივარ ქუჩაში,
სიმშვიდის საუფლოდ თავდები მჭირდება,
ვიღაცა დღიურებს ისე ყრის ურნაში
თითქოს ის დღეები არაფრად სჭირდება,
იცოდეს, ახსოვდეს, რას გრძნობდა მაშინაც,
როცა მთელ სამყაროს ათოვდა, აწვიმდა...
თვითონ კი ბედნიერს, ან თუნდაც უბედურს,
თავბრუ რომ ეხვოდა ათასგზის... უკეთუ, გარდასულ
დღეებზე იდარდოს?... არ იცის?!
მაინც ხომ ვერაფერს ვერ შეცვლის ამითი,
მაგრამ ის დროება გონებას გიბრუებს,
არ ღირს დავიწყებად, თავს ვერ მოიტყუებ!
გიყვარს... და ასეთი იყავი მაშინაც,
სამჯერ(ც) რომ უარყო,
ტყუვდები საშინლად!
სველდები სიჩუმით, გადიხარ ქუჩაში
სიმშვიდის საუფლოდ თავდები გჭირდება,
დღიურებს ნუ ჩაყრი ნაგვიან ურნაში
ოდესმე რამეში მაინც დაგჭირდება!

* * *

ექვი და კამათი - ყულფი და ჯალათი,
ექვი და კამათი - ცხოვრების ბოლოა,
უბრალოდ არავის დაუდო შამათი,
ეს შენი პარტია შენივე სოლოა,
გადადგმულ ნაბიჯებს ვერაფერს უშველი
წასული წუთები უკან არ ბრუნდება,
მღელვარე ნაპირთან ნულარ მობრუნდები.
ნაპირთან, რომელიც უძიროდ გუბდება!

2016

* * *

რამ შეგცვალათ ასე უცებ, ქალბატონო?
თითქოს რაღაც გეწყინაო... მგონია!
ნუ მპასუხობთ სიჯიუტით - „არაფერი“,
წელან თვალებს სევდა არა ჰქონია!

* * *

სამყაროს ნაწილი - ცხოვრების “ქვერი”
ფერადი სიძველით სულ მღერა-მღერიან...
მაღლა რომ არ დავთმე არც ერთი მტკაველი.
მეგონა მარტივი და თურმე ძნელია,
მარგუნეს - ასეთი სიკეთე რამდენი...
მარჯვენა, წითელი სარკმელი ჩემია!

2015

რატომ?!

ჩემ შესახებ შენ რა იცი?! როდის მზე მწვავს...
როდის წისლი,
როდის ქარი მიქრობს სანთელს,
როდის მასმევს თასით სასმელს?!
საით მიდის ჩემი გზა და რისთვის...
როდის ვიყო მზად?..
და... რას დავეძებ აქ და ამ დროს? იცი?.. იცი?
ვინ რას მანდობს?!
როდის ბინდი მიშლის მზერას,
როდის მიყვარს ქვეყნად ყველა!
როდის ბარში მინდა მაშინ,
როცა მედგომება მთაშიც,
როდის ალთას ვხედავ ცერად,
როდის ვხედავ ცისარტყელას,
...წვიმის. მერე?
რაზე ვფიქრობ... რა ვერ გამომივა თითქოს,
შენ რა იცი ჩემზე მეტად,
როდის მიყვარს ყოფნა კენტად,

რა მომხიბლავს ქარიშხალში
და რატომ ვარ დარში სახლში,
შენ რა იცი ჩემი სულის,
ზრახვების თუ სიყვარულის.
შენ რა იცი, რატომ არჩევ...
დრო ყველაფერს გამოარჩევს!

2016

* * *

გაავდრებულს გაგიმზევებ გულს უცნაურს,
გამწყრალ თვალებს გაგინათებს სითბო,
აბა როგორ შეიძლება, მაგ სათუთ სულს,
შეეკედლოს გაბუტული კინტო.

* * *

არაფერია სამრახი თუკი,
აგეკიდება ფარდულში ვალი,
კათხა ლუდსა და ჭიქა არაყში
მოგიძებნია გამოსავალი,
დაბერავს შენკენ ნიავი ტრფობის,
გაატან დარდებს... როგორც ბარათებს,
გადაიხდება ფარდულის ვალიც,
როცა სულს სითბო მოიკალათებს.

2014

* * *

სიკვდილის შიშმა თუ დაგრია მზაკვრული ხელი,
ადარ იფერებს გაზაფხულის ცის ცისარტყელა,
მოფრენილ მერცხლებს ჩაუწყდებათ ჭიკჭიკა ხმები
და ველის ყვავილს სამოსელი დაეკარგება.

2015

* * *

ეს შემოდგომა ისე აპირებს წასვლას,
არაფერს ტოვებს ნარინჯისფერის გარდა,
და მოლოდინი სუსხის, მოიპარება სულში,
არ მეშინია... არა!

* * *

ნუ მითვალთვალე, მთვარევ,
არ გეკადრება ამაყს, არც არაფერი მსურდა
გულის ფანცქალით მავალს,
- ამაშორებდი უფსკრულს, თუ გამინათებ სავალს.

* * *

სამართალი სადღაც ბავშვებს ჰქონდათ ხელში,
დააგდეს და ფეხით შესდგნენ - ტალახიანს,
არ მოძებნეს, ეგდო ასე ქუჩის ბოლოს,
მთელი ღამე წვიმამ ასხა... ბარაქიან(ს),
გათენებულს გაახსენდათ, მიდგნენ-მოდგნენ,
არ დაზოგეს დრო და ჯანი სამეზნელად,
სადღა იყო გათელილი სამართალი,
მიწას ეკრო, ქცეულიყო სარეველად.

* * *

ღამის მზემ დამნათა მთვარედ,
ვუცქერდი მის ლამაზ თვალებს,
ვარსკვლავი მოწყვიტა ციდან - „აგისრულებო რამეს,
- რაც გულით გინდა“,
შევხედე ციმციმა გზავნილს,
მიწამდე დაეშვა მალე,
ვერ მოვასწარი მეთქვა - სულ გაზაფხული მინდა,
არ ვემდურები მთვარეს,
ჩემი ბრალია, ვიცი, რომ დაზამთრდება მალე.

სტუმარი

დილას - მადლიან სტუმარს, კრძალვით გავუღე კარი,
მოვიპატიჟე, დავხვდი, არ შევირცხვინე თავი,
გავუმასპინძლდი ღვინით და გავუსწორე მზერა,
ბაბუაჩემის ყანწით დავალოცინე კერა,
დავალოცინე შვილი, დავალოცინე დედა,
აღარ ვუშვებდი არსად, ისე შევყევით გულით,
მაგრამ ბახუსის მადლით ეკიდებოდა რული,
წავიდა, მითხრა: - „მოვალ, ხვალაც ზეგაც და მერეც,
ეგ ყანწი მადლიანი არ შეინახო ჯერე...”
აღარ ვინახავ, ვუცდი, სტუმარს პირობით გასულს,
ბარაქიანად მოსულს, იმედიანად წასულს.

* * *

ეს შემოდგომას სითბო ეშურება,
პურის ნამცეცები კენკეს ბელურებმა,
ისე აბუზულან ყინვის მოლოდინით,
გული ამიჩუყა,
ვედამ მოვერგები... გაყინულ ქალაქს,
დამზრალ მიწას, ცარიელ ქუჩებს,
ამინდი კაცს რომ სახეიროს ვერაფერს ურჩევს,
უყურებ, როგორ ატრიალა ხმელი ფოთოლი,
გამოფიტული, ცარიელი, ისიც ობოლი,
უყურებ, მერე გიჩერდება გული და სუნთქვა
და იმეორებ უსასრულოდ, ჩუმად და ურჩად:
„მე ვერ მერევა...“

დაიმშვიდებ ამით მოლოდინს
და შემოდგომა ყოველ წელს ხომ
ახლიდან მოდის...

* * *

ეული ველი სადღაც მინდორში
გადაეყარა ეულ გვირილას,
არაფერს სთხოვდა ერთის გარდა:
მიტხარი - ასე ეულად
მომიწევსო ცხოვრების გავლა?
გვირილა შეცბა, არ იცოდა ამის პასუხი,
მოკრძალებულმა და კეთილმა დაინდო ველი...
რაც გააჩნდა, შემოიძარცვა და...
მერე მართლაც აყვავდა ველი.



* * *

შემოდგომა სავსეაო მარაგით,
ჭირნახულით, ხვავითა და ბარაქით,
წვიმიანი სურნელება მიწის,
მოდრუბლული ზეცითა და ნისლით,
როგორ ერჩის ნარინჯისფერ ველებს ქარი,
როგორ ატრიალებს ფერებს,
ნართველარი ვენახები კენტად,
მიატოვებს თითქოს ყველამ ერთად,
დაასვენეს გადაღლილი მხრები,
გაისარჯნენ შეწყობილი ხმებით,
არ მიჰყვება დღე-დღეს ისე უქმად,
ბახუსის მადლს რომ არ შეხვდეს მუქთად,
შემოდგომა სოფელშია სალხინოდ,
ღვინო უხვად...ახალი და საფირმო,
გამოარჩევ ყანწებსა და ჭინჭილას...
ხმას შეუწყობ შემოჩენილ ჭრიჭინას,

გამოხედო გინდა ეზოს... არადა,
გააბრაზე აწყვეტილი თამადა,
ბარაქიან შემოდგომას გაფიცებ,
აწყენინე ბახუსიან ძმაბიჭებს,
გარეთ გადი, დაინახე დაისი,
შეიგრძენი ამ ცხოვრების ხალისი!

* * *

ისე ურცხვად მიმატოვა ყველამ,
გარინდული ველოდები ღამეს,
არაფერი მენანება მეტად,
როგორც უქმად მიღეული წამი!

ბებოს

ღობეს ჩაუვლის ცვრიანი ღამე,
გათენებულა უკვე უჩემოდ,
ორღობის ჩრდილო, მითხარი რამე,
რამე ისეთი, რომ დაგიჯერო,
რომ მოგენატრე ისევე ნაღდი,
ბავშვობაში რომ გადამეყარე,
რამდენი ღამე გამითენე
და წვიმიან დღეებს გადამიფარე,
გამითბა სული ამ მოგონებით,
ბელურასავით დარჩები ვატყობ,
და გავიზამთრებ შენი ლოდინით,
გაზაფხულამდე ვით რჩება მარტო,
მომყვება დღემდე შენი ნათება,
ის საოცარი განცდა ნაღდისა,
ვერცერთმა წამმა ვერ გადაფარა, ბედმა,
რომელიც დღემდე მადირსა,

ის მოგონება ბავშვობის წლების,
ბებოს თვალების შემონათება,
მისი ხელების სითბო და მადლი, მომყვება,
მათობს და მენანება,
რაც გადის წლები მეტად და მეტად,
ასე ყოფილა თურმე ყოველი,
და რომ გგონია ვერ დაიბრუნებ,
არსად წასულა შენთანყოფელი!

* * *

ნაკიანი თებერვალი,
უნიათო ზამთრის ბოლო,
მაწყენინე დამდე ვალი,
რომ არასდროს მოგიგონო.

ქარნაღებული

ქარმა ისე გამომტაცა ბარათი და წაიღო შორს,
ძალიან შორს,
ველარაფერს უშველიან კამათით,
ვინ დაწერა და რა დარდებს ქსოვს,
მერე ისე ატრიალეს ურჩად,
თავის დარდიც დაამატეს დარდს,
გაუშვეს და უხმაუროდ, მუნჯად,
ჩამოშორდათ სადარდელი მათ,
ასე დიდხანს იტრიალა ქარდაქარ,
მოიარა ყველას გული კარდაკარ
შეგროვილი დატეული დარდებით,
დაუგროვდა ბოლოს სიტყვა-სათქმელი,
ქარს მიენდო ისევ გატაცებული და
დატოვა ხალხი აღტაცებული,
რომ დარდები გაატანეს მას,
რა სცოდნია ამ ონავარ ქარს!

* * *

ალბათ რაღაც მაკლია, დარაბები მაწუხებს,
მერე რაა, რომ ქარია თამამი და მარწუხებს
ისე გავლებს სხეულზე, გესრისება ვენები,
ველარაფერს უხერხებს გაზაფხულის ფერები,
რომ ვერ ირგებს, ფასი აქვს სითბოსა და ხასიათს,
მაისიც რომ ყვაოდეს... მაინც თბილად გაცვია!
წვიმიანი ქარია, ნაღველი რომ ერევა
თმებს გისველებს წვეთები, გული გადაგერევა,
ჩქარა გავცდე დარაბებს, ვის დავუწყო ლოდინი,
ჩქარა თორემ წასულა დრო და ეს მოლოდინი!

* * *

გაზაფხულს მოგიყვან იების იმედად,
ზამთრის მზეს გაგილღვობ სულაც,
რომ სახე გაგიტობოს, არ იგრძნოს ციება
შენმა თითებმა და სულმა!

* * *

დარდის შენ რა იცი, ან რა გედარდება,
თუ გულში მაისი გიყვავის ვარდებად,
ნურაფერს ნუ იტყვი, გაჩუმდი, გაფიცებ,
დარდს ნულარ ახსენებ ასეთი ხალისით.

* * *

...და რომ მოვკვდები, მეღირსა ოდეს,
თავს რომ გაართმევ ყველა სატკივარს,
არ მოვალ წვიმად, მიწის სურნელით
რომ ააყვავებს ეზოს ნაყინვარს,
არც ზამთრის სუსხად,
არც შემოდგომის

გადაყვითლებულ ბაღის ქარებად,
როცა ნარინჯი იყვავებს უხვად,
როცა სავსეა დღე - მღელვარება,
არ დავბრუნდები არასდროს არსად,
ნუ დააბრალებ წყენას მოლოდინს
და თუკი რამე გეთქმება ახლა,
ახლა მითხარი... ახლა როგორმე.

2017

* * *

- რა გაცვეთილი ლეგენდაა წასვლის სანაცვლოდ,
არ ეკადრება, იმსახურებს ეს დღე უკეთესს
და თუ წასვლაა, წასვლა იყოს,
ოღონდ დამარცვლე რომ დაბრუნდები,
დაბრუნდები ჩემთან ისევე.

* * *

- რამეს აღარ მეტყვი? ცოტა დამიამებს,
- რაღაც ველარ გამჩნევ უკვე ნაიარევს.
- მაინც... გაფრენილი დარდი მეჩემება,
ისევ მგონია და ისევ მეჩვენება...
- შენ ხომ არ გლალატობს შენი ხასიათი,
ნულა გამიწყალე გული გარსიათი,
- როგორიც იყავი თუ ისევ ისა ხარ,
მაშინ მეც ძალიან... ძალიან მიყვარხარ!

* * *

- რა გატირებს?
- არ ვუყვარვარ ალბათ,
- ასე გითხრა?
- არა, ასე ვფიქრობ,
- შეეკითხე? და პასუხად - რაო,
- დამშვიდებას უმიზეზოდ ითხოვ,
- რეებს როშავ, რას მიქვია სიტყვა,
- რა აზრი აქვს, რას მეტყვის და როგორ?
- როცა იგრძნობს ყველაფერი მორჩა,
- დარჩენია ატირება გოგოს.

* * *

ჩემო ვიოლინოვ,
 ისე დაუკარი შენ რომ გეხერხება,
ნულა მომანატრე შენი საუბარი,
 სულს რომ მეფერება,
რამე გაიხსენე, რამე მოიგონე,
შენი არსებობა უნდა გაამართლო,
ისე ააჟღერე, ისე გაიმეტე ბგერა,
უკუნეთი წამსვე გაანათო,
ჩემო ვიოლინოვ, ასე დიდებულო,
როგორ შეგიძლია სულ რომ მეაღერსო,
სხვა რომ არაფერი შემრჩეს ძველებურად,
შენთან მეგულება ნოტი სააღერსო.
არას დავეძებდი ჩემი ფობიების,
 რალა შემორჩება ძველი ქარებიდან,
როცა ყველაფერი ისე ფერადდება,
 ისე ჟღერადდება შენი გამებიდან!

* * *

ცხოვრება - შანსია, ხანდახან თარსია,
ზოგჯერ საჩუქარი; ფუმფულა, „სუქანი“,
ლამაზი ბგერები, სულ მოსაფერები
დღეები... ფერებით, ფერებით, ფერებით...
ბოლოს თუ გადარჩი, ასჯერ რომ გადაჭრი,
თვალეbs თუ გიბინდავს მღელვარე ცრემლები,
თუ სიყვარულია ისეთი ალალი, ისეთი სულელი
და მაინც ელევი...
დაიწყე თავიდან, მობრუნდი სარკმლიდან
და ისევ დაიწყე მსვლელობა სივრცემდე,
ნუ გაიპარები უკანა ფანჯრიდან,
ფუნქციას დაკარგავს კარების სიკეთე!
ცხოვრება - შანსია, ზოგჯერ რა თარსია
სადირალს ალალად ვერაფერს იმეტებს!

* * *

გზაზე რომ დგახარ და გზას ეძებ მაინც ჯიუტად,
დრო რომ გიკარგავს მოსვენებას ისე სწრაფია,
სხვის რომ დაკარგავს ვარსკვლავები ცაზე ციურთა,
რომ აღარაფერს ეკითხება მთვარე ავყია,
როგორც თენდება ზუსტად ისე დგება სიბნელეც,
უსახურობით და უტიფრად ქრიან ქარები,
რომ ცხოვრებაში აღარავინ აღარ გიჯერებს,
რომ აღარავის სიყვარულის არ გაქვს ვალები,
გზაზე რომ დგახარ და არ იცი საით იარო,
თვალეზე ბინდი აგკრობია ისე წყეულად,
უგზოდ, უმიზნოდ, უსახურად როგორ ტრიალებს,
ეს ჩქარი წლები უტიფრად და გადარეულად!

* * *

ნადვლიანი, საამო, წვიმით სველი ქუჩა,
ამ დანამულ საღამოს ბოლო აღარ უჩანს,
მარტო ლამპიონები, მარტო კაცი გზაზე,
მარტოობის მონები წვიმის წვეთის ხმაზე.

2015

* * *

არ ვემდური არავის, არც არავის ვდარდობ,
შენს საჩუქარს ვიხსენებ რაღაც ისეთს, სანდოს,
ვერ ვიპოვე... ვერაფრის ვერ ვიტოვებ „მულამს“
და რაც იყო ყველაფერს ვეუბნები უარს.

2015

* * *

ჭაღართ მეტი ან ნაკლები,
აღარ მაწუხებს ვიცი,
გულს არ შეეპაროს მოთეთრო ნაღველი
და არ დამჭირდეს ფიცი,
რომ მზე შემოდგომის არ სცდება ჰორიზონტს,
ჯერ ისევ ნავარდობს მთებში,
რომ ჩემი ნაპირი სიმწვანით ფირუხს ჯობს
და ხმაა... წკრიალა ხმებში.

2015

* * *

როგორც გინდა შეაფასო,
როგორც გინდა აღწერო,
აიტაცო, განეშორო, გაბერო თუ გაწელო,
მიატოვო, დაუბრუნდე, აგირიოს „რამსები“,
არაფერზე არ გაფიქროს, აიწიოს ფასები,
დაგამშვიდოს, გაგაგიჟოს, აგიყვანოს კოსმოსში,
სანამ უკან მოიხედავ ჩაგაციოს ორმოში,
მეტი მზერით,
მეტი ცქერით დაგიოსდეს თვალები,
ვერაფერს რომ ვერ უშველი,
ველარაფერს გახდები,
ასეა თუ ისე იყო არ იღლები აღწერით,
ყველა კალამს ისევ ჩაცლი, უსათუოდ დაწერდი,
როგორ გიყვარს,
როგორ გინდა მისი სული სულისთვის,
ყველაფერს რომ ქარს გაატან...
მარტო მისი გულისთვის.

2015

* * *

წავა, მოივლის მთებს და ღელეებს,
აივებს ხურჯინს ამით-იმითაც,
რომ არც მოელი ისე მოიტანს,
კალთით... სადამოს, ზოგჯერ დილითაც,
არ დაემდურო არასდროს არსად,
არ გაუმტყუნო ასე წანწალი,
როდესაც მოვა სველი, დაღლილი,
ტალახიანიც, ოღონდ მართალი - მუზა!

2017

* * *

ნისლიანი საღამო, წვიმისფერი ქუჩა,
მყუდროებას, საამოს ბოლო აღარ უჩანს
მარტო ლამპიონები, მარტო კაცი გზაზე,
მარტოობის მონები, წვიმის წვეთის ხმაზე!

* * *

ღიღინით გავლილ მოსახვევებს, ფართო შარა-გზას,
გამლილ მთა-გორებს,

ველ-მინდვრებით გაწეწილ ქედებს,
გამოვატარე დარს თუ ავდარს ჩემი ფარაჯა,
დასველებული და გამშრალი ათასგზის, ბევრჯერ,
რამე მითხარი, რომ ავილო ისევ ხელადა,
დავადგე ბებერს... გაუთელავს ჯერაც ჩემამდე,
საით წავიდე, რომელ მხარეს გავყვე ხელახლა,
რომ მხოლოდ ერთი ამოსუნთქვით მოვხვდე შენამდე.

* * *

ზღვამ ტალღებით გადაშალა ჩვენი ნაფეხურები,
გაზაფხულის დღეებია რაღაც უსახურები...

* * *

უხასიათობის ხასიათმა ისე ამიკრა და ჩამიხუტა,
ასე ახლობლად არასოდეს
თავი არ მიგრძენია გარეულთან.

* * *

ბოთლში მომწყვდეული ისტორიით
ვინმეს მოვუყვები სანუგეშოდ...
ისე დავიცვლები ისტერიით,
 ტალღას გავატან და ამიშვებს...
ო, ეს აუხსნელი განმარტება:
- რატომ, როგორ, ვისი, სად და როდის???
- ასე ყველაფერს რომ ეშვებოდა!
- შენ ხომ მიეჩვიე უკვე ლოდინს!
ვინმე, სანაპიროს ქვიშიანი ხელით
 ამოაძრობს ბოთლის საცობს,
მერე წაიკითხავს გულიანად, ისე...
 არ იკითხავს სად და რატომ!

* * *

საგაზაფხულოდ რატომ არ თბილა?
ამინდს რას გაუგებ ერთი,
ხან,, ასესხაო“, ხან ,, ისესხაო“
ყველგან კრედიტი და სესხი.

* * *

არ მინდა ღიმილი, ღიღინიც არ მინდა,
გიტარის აკორდმა დაკარგა ტემპები,
როგორ და რაგვარად დავიწყო თავიდან,
ვილასთვის ვიკითხო თავხედად ლექსები,
თუ წახვალ უჩუმრად, მისამართს დამიხევ
მაგ თავლებს ვერასდროს მივაგნო, საჩემოს,
არ მინდა, ცხოვრებას თუ ასე ამიგებ,
წყალსაც წაუღია, ქარებმა გათელოს!

* * *

ათასჯერ დაწერ და დახევე და გადაყრი,
ათას მეერთედ დაწერ და გადარჩი,
დამთავრდა სიტყვების უიღბლო თამაში,
აღარ ხარ საკუთარ სინდისთან კამათში,
თუ გამოგივიდა რაც გტანჯავს დილიდან,
გუშინდელ, წინანდელ, იმის წინ კვირიდან...
რომ სტროფად გექცია, რაც ისეც შენშია,
გექცია სიტყვებად, ფრაზებად გექცია,
გეცინა, გეტირა... ოღონდ რაც შენშია,
არც მთის და ბარისა, არც ზღვის და ქარისა,
არც ერთი ასო და არც ერთი მისხალი,
ყალბი და მისანი... უაზრო მიზანი.
დაწერე დამარცვლით, გადაბმით, ეულად,
დაწერე ათასჯერ სულ გამორჩეულად.
აქციე ფრაზებად, ლექსებად გექცია,
ოღონდ რაც შენშია, რაც მაგ სულს ერჩია,
წერე რაც შენშია, წერე რაც შენშია!
ბოლოში დაუსვი წერტილი მორალის,
ზღვაში რომ გაგიყვანს მზისფერი ბორანი.
სიტყვაა - მესია, ოღონდ რაც შენშია!

* * *

არავის უკითხავს, რად გალობს ბულბული?
ან რატომ ედება დაკეტილს ურდული?
ვინ სთხოვა წყაროზე ჩასულ ქალს წყალი,
ან რას მიიკვლევს გზას აღმა მტკვარი,
ხუჭუჭა პატარა რად დადის კარდაკარ,
ცხოვრება რატოა უძლისი ხანდახან?
არავის უკითხავს, არც პასუხს ნატრობს
გაიგოს - რატომ!
მიზეზებს რა დალევს, ისეთებს გადაგრევს.

2015

* * *

გაუგონარი სისასტიკით მსრესენ წამები,
უშენოდ ყველა გათენება შეფუთულია,
რომ ყველაფერი კარგადაა, რომ არ ვმწარდები,
რომ ყველა ძარღვი ცივია და გამორთულია,
შევფუთე შიშიც, უჰაეროდ ყოფნის ღამეში,
თვალეებს რომ ღიას დაგიტოვებს ძილი - უსიზმრო,
მაგრამ, ვერაფერს ვერ ვუხერხებ ყინვის თარეშებს,
გულს რომ მიჩერებს გამოფიტულს, ისიც უსისხლოს!

* * *

აშოტილი მთების კალთებს ეპარება ქარი,
რა იციან თავხედებმა, მორიდება, ზღვარი,
ჩაკვრა უნდა გულში მისი, თუნდ ყინული ლოლოდ,
ყველა ნაგლეჯს რომ მოივლის და მიხვდება ბოლოს,
უსაზღვროდ და უსასრულოდ უნდა ქროდეს მანამ,
სიყვარულზე მაგარ რამეს იპოვიდეს სანამ!

* * *

ნუ დამიჯერებ, ვერ ვქარგავ ისე
შენ რომ გარგოს და გეყოს სამოსად,
მე ხომ ვერავის გამოვადექი,
აღარც ერში ვარ, აღარც სალოსად.

შვილებს!

გაზაფხულზე დაგიმშვიდებ მარტის ქარებს,
აპრილს სითბოს გამოვატან შენამდე,
მაისის მზეს ცისარტყელად გამოვაფენ,
ლამე მთვარეს ჩამოგიტან ხელამდე,
ზაფხულის მთებს გადაპენტილს კესანებით,
მომატარებს შენი ერთი ღიმილი,
შემოდგომის გაყვითლებულ ხეივნებში,
დამავიწყე დარდიცა და ტკივილიც.
მაგ თვალეებში ანთებულმა ვარსკვლავებმა
გაყინული ღამეები გამითბო,
შენს ნაბიჯებს ველოდები არეული,
სახლში მოსულს კარები რომ გაგიღო,
მთელი ჩემი არსებობის გამართლებავ,
ჩემი სულის ამინდებო, მზიანო,
სალოცავად ღმერთთან სხვა მე რა მინდოდა
ოღონდ შენ რომ ბედნიერად იარო!

2017

* * *

დროდადრო უძილო მოველი განთიადს
ღამე და სიბნელე მიმძაფრებს მოლოდინს,
ხანდახან სიცოცხლე ისეთი სავსეა,
რომ ველარ იჯერებ თუ გრძნობდი ბოლომდის.
როდესაც ლაღად და უშურვლად თამამობ,
როდესაც სიტყვები ბობოქრად გარწევდა,
რომ თითქოს ყოველთვის იყავი მართალი,
რომ მეტი რა გექნა, ურიცხვად გასცემ და
ვერასდროს მიიღე სამყოფი საგზალი,
რომ მთელი სამყარო ტყუის... თუ გეწყინა,
რომ ყველას იმდენი ბოდიში ეკუთვნის,
როდესაც ფიქრობ, რომ ძალიან გეტკინა,
დრო გადის უაზრო დარდში და ლოდინში,
დროდადრო ასეა... ყოველი წამი და ყოველი წერტილი
სიკვდილით სავსეა,
განთიადს შეხვდი და გადარჩი გგონია
შიშმა რომ გაგხადა ბავშვივით მშიშარა,
და მერე... ამბავი ისეთი შორია,
სიცოცხლე რომ გინდა, სიკვდილი კი-არა!

2017

* * *

...ეწევი?

- ზოგჯერ,

- გინდება?

- არა,

- მაშინ რაღატომ?

- გაჩუმდი ჩქარა!

- ნუ მოწევ იცი?!

- დაგიდო ფიცი?

- არ მინდა, არაა

- დამღალე, კმარა!

- მითხარი მაინც

- ნუ ელი პასუხს,

რას ჩამაცივდი პასუხი არ მსურს.

- გავიგე, რაღაც აგშალე მგონი,

- სულ ასე ხდება, მეწევა ტონი,

როცა კითხულობ ისე, რომ დამღლის -

- კაი გაჩუმდი, არ გინდა... არ ღირს!

- ეწევი?

- არაა! აღარა, არა!

- ნუ ყვირი, მესმის!
- კითხვას რომ ვერ ცვლი?
რა გინდა ერთი, იწამე ღმერთი
- არ გიტრიალებ, მინდა იცოდე
და ამიტომაც გიჟი მიწოდე?
- წადი და შენი იცოდე ფასი,
- ვერც მე ვიპოვე შენივე მსგავსი.
მინდა ვიცოდე, როდის გავიგებ
სიგარეტს ხელში რომ არ აიღებ?
- გაჩუმდე ნეტავ, დამტოვე კენტად!
- ეწევიი??
- არააა!!

* * *

დაგაცდი და გადაივლის შემოდგომაც,
უჩემობით დაგიზამთრებს სულში,
დაგაცდი და ყველაფერი მეორდება,
მარტობამ გადაგლალა გუშინ,
რას გაუგებ მოლოდინის აშლილ აფრას,
გაფრინდება უსახურად „იარს“
და მერე რომ გეგონება დრო მოვიდა,
ის იქნება უსაშველოდ გვიან!

* * *

პატარა გოგოა, რომ უკვე დიდია,
ვერაფერს უხერხებს თავიც რომ მოიკლას,
ცხოვრებას,
რომელიც არც ისე მშვიდია,
ატმის ხე ზამთარში ნაყოფს ვერ მოისხამს!
წლებია ისეთიც, ასეთიც... ურიგოც,
გზებია ფართოც და პატარა ორღობეც,
თავისით ჩაივლის რაც ჩასავლელია,
რაც არა, დარჩება ცხოვრების ბოლომდე,
ვის უნდა შესჩივლო ან რაა სათქმელი,
რაცაა ეგაა, რაც გერგო, უენოდ,
იქნება... აყვავდნენ ვარდებიც ზამთარში,
ნაზი და ლამაზი და თანაც უეკლო!

* * *

ლექსი ისე მოგადგება მგლურად,
ხანაც ხშირად, ხან... დაკარგე თითქოს,
მოგადგება ნაწილობრივ... სრულად,
რაც გაწუხებს და რაზედაც ფიქრობ.
კითხულობენ პასუხები უნდათ:
- ასე რატომ?
- ან ის ვისთვის... გისმენ,
გიპასუხებ უსამველოდ, "რთულად",
- ვერაფერს რომ ვერ გაუგებ ისე...

* * *

ქარს ათხოვე ბარათი, როდის დაგიბრუნდება.
სად წერია მარადი, ბედისწერა... ხურდება,
ისე გავლებს მარწუხებს გესრისება ვენები,
ველარაფერს უხერხებს ველარ აედევნები,
როცა ხედები ყალბია, წვეულების ბილეთი,
არეული სამყაროს და იქ ხალხი მილეთის,
ველარ იტევ ნაღველით, მოთმინება გელევა,
ფარისეველურ ღიმილებს
გული ისე გერევა,
დრო არ გემორჩილება,
არ სჩვევია დანდობა
ასე რატომ ინება?!
- მოუხერხე განდობა,
...როგორ გასცდე დარაბებს,
არ დაგაწვეს ლოდივით
ქარწადებულ ბარათის
უსასრულო ლოდინი!

2017

ზორენა თალააკაძე

* * *

არ გეწყინოს - თუ გეწყინა,
თუნდაც ისე - ელდა გეცა,
სილის გაწვნა ვინც გაწვნია,
იქნებ იქეთ შენ დაგეცვა.

2017

* * *

ოქტომბერი - სხვანაირი ალის ფერით,
შემოდგომის სამშვენისად შესაფერი!



* * *

(ჩანახატი)

რა დაგიშავა წვიმამ, რატომ ვერ იტან?

- უჟმურია და სველი.

- ნაჩუქარი დღეებია.

დროს რომ ავიწყდება და არ გითვლის წუთებს. 10 დღე რომ იწვიმოს... სიკვდილი 10 დღით გვიან მოგაკითხავს. ჩემთვის სიცოცხლის გარანტიაა წვიმიანი დღე, წვიმაში არ მოვკვდები!

შორენა თალახვაძე

* * *

- ჩემი მუსიკა რომ ხარ,
- რომელი?
- ხან მოცარტი და ხან ბეთჰოვენი.

2018

* * *

ცარიელია გზა, სახლი, ქუჩა,
ვერ მომაშველა დარდმა სიმშვიდე,
სადაც შენ არ ხარ -
ყველაფერს „უშავს“,
და არა უშავს,
ამას გიხსნიდე...

* * *

დაცარიელდი,
ამოგწურეს,
„გაცვდი“ უბრალოდ,
ანადვლე ვინმეს -
რა გაწუხებს, რა გიხარია?,
ყველა განწყობა, მოგონება ქრება უკვალოდ.
შავ-თეთრ სხეულში,
ცარიელში... ზურგის ქარია.
მიყავხარ სადღაც, ინერციით, უმისამართოდ,
დადიხარ მძიმედ,
ნაბიჯებსაც ისე უწელებ,
თითქოს გაფენილს,
ფერადოვან ლამაზ ფოტოებს,
საშემოდგომოდ შემორჩენილ ფოთლებს უღებდე.

* * *

ისეთი თბილი, ნაღვლიანი თვალეზი ჰქონდა,
ჟრუანტელივით დამიარა, ყელში გაჩერდა...
ვერ ამოვწურე,
ვერ დავფარე ვერცერთი ნოტა,
მომიცვა ისე უსასრულოდ,
ამას დასჯერდა...
რა უნდა უთხრა,
ან ეძებო მიზეზი... კვალი,
რა სიბრყვეა,
ამოუთქმელ სიტყვის დარაჯი,
არაფერია უფრო მეტი,
იმაზე მყარი...
როცა თვალეზით გაწიოკებს დარდის თარეში!

* * *

საით მიდიხარ, ვინ ხარ ნეტავი?
რომ აგიტეხავს მთებში წიოკი,
რას გააბრუებ,
ან რა გსმენია?!
სად და რამდენი გხვდება ხრიოკი.
სად ინავარდა რაშმა ჯირითით,
რომელი მხრიდან ჩაუყვა ჭიუხვს,
სად შეაფარეს თავი ძილისთვის,
საგზალი როგორ აკმარეს დღიურს.
რომ არ დაგლიოს, გდევნოს, გაგთელოს,
არ დაგატეხოს მეხი ზეციდან,
შეთამამება რომ არ გაბედო,
არ გაგეცალოს მიწა ფეხიდან...
ნუ შეატოვებ მზერას მთვლემარეს,
არ გაიფიქრო, - უბრალოდ „მთები“,
თავი დახარე, რიდით... კლდემამდე...
და შეარჩიე სავალი გზები.
ვერასდროს ვერც ერთ დროში, სივრცეში,
ვერ გადათელავ მწვერვალებს მთისას.
პატარა კაცის ბუნება არის, არ შეაფასოს
სიმაღლე სხვისა!

2018

„ნატვრის ხე“

სიყვარულს ვერაფერს გაუგებ, იორამ!
აბსურდულ საყვედურს იღებ და ჩუმდები,
რა შენი ბრალია... მარტივად, იოლად,
ვერაფერს რომ ველარ გასწავლის წუთები.
საიდან მოდიხარ, რა გინდა წყაროსთან,
რას გეძებს ეს შენი ნატანჯი “ყისმათი”,
ოცნებამ გაცალა ზეცამდე ამოსვლა
და მაინც ვერ გახდი ისეთი ძვირფასი...
მარტოკა ამინდი - ბუნების ბროშები,
ზიარად გაგიხდის სანატრელს წამიდან,
დარდსა და წუხილებს მაშინვე მორჩები
და მერე... იწყება ისევე თავიდან.

2018

* * *

რას სთავაზობ საპირწონეს?!
ამინდი რომ “გაგისწორებს...”
წვიმს და ისე,
სულს რომ გივსებს.

* * *

არაფერზე არ იცვლება ამინდი,
ვერ “შეაბამ”
თუ მოუნდა წვიმს,
ვერც იმ იმედს დაგიტოვებს - გამივლის,
როგორცაა და რაცაა ის...

* * *

არაფერს ისე აღარ დავეძებ,
ოღონდ სიმშვიდე
“გადამდიოდეს”,
მავსებდეს დარი - უამინდობა,
წვიმა ხმაურით ციდან ცვიოდეს,
წავიდე ისევ შორს და ეულად,
აღარც მახსოვდეს რატომ წავედი,
“აურზაურში” ამ სიმარტოვის...
დრო და გარემო რომ ვერ აუდის.

* * *

სანამდეც მიყვარხარ გითხარი
- პირველი თუ მოვალ არ ვდარდობ,
ნუ მეტყვი -”ეს რას ჰგავს მითხარი,
საერთოდ არ გავხარ თავს და სწორს.”
ვერ ვაძლევ საათებს უფლებას, იარონ...
დალაგდეს თავისით...
რაუნდა შეცვალოს წუთებმა
თუ ასე საშინლად განვიცდი...
უშენოდ არ მინდა ამინდი,
ვერც წვიმა მომიტანს სიხარულს,
უშენოდ ჩემგანაც წავედი,
დავდივარ უხმოდ და უაზროდ!
სანამდეც მიყვარხარ ასეა...
სანამდეც მიყვარხარ გნებლები...
მართალიც რომ ვიყო სავსეა,
ეს გული საშენო გეგმებით.

2017

„დანაშაული“

(მშობლებს)

ვერ გავიზარდე, ვერ შევდექი დიდად... დიდად,
როგორც იყო წინაპარი ჩემი... ალალი,
ვერ გავიხადე მოთმინება თანაზიარად,
ვერ დაველოდე დროს...

რომ მოაქვს სიბრძნე ქარაგმით,
ყველა წვრილმანზე ფიქრი,
ზრუნვა რაც არ გამოვია,
რაზეც აღარ ღირს გაისარჯოს კაცის გუნება,
ის რაზეც მერე... არ ღირს ჩირად და ამაოა,
რაც ყველაფერზე უბრალოა... არ ღირს ცდუნებად.
ვერ მოვახერხე, გამომივა ალბათ არასდროს,
ისე ვიცხოვრო, გავუმკლავდე ყველაფერს ერთად,
თქვენი ბრალია, რომ გამზარდეთ ასე საამოდ,
თქვენი ბრალია, რომ გიყვარდით ყველაზე მეტად!!!

* * *

ნავი და ნაპირი...
მარტი და აპრილი,
გაზაფხულს რომ არ ჰგავს ფერები... სიმუქე,
არ ვიღებ,არ მინდა,არ ვიცი...
რა პირით შევხედო ასეთი ნაპირის სილურჯეს,
არეულ განწყობას... დალეულ წყაროზე,
წვეთი რომ აღარ აქვს ხალისის მომცემი,
მერედა - რამდენი წუთია...
სალოცავს ასჯერ რომ ვუთხარი... მაღლობა.
წამოდი,
ამ ნავში ცარიელ ადგილებს შეავსებ, შენია -
...და ნუ მეურჩები,
წამოდი გაზაფხულს წყაროზე ჩავყვით...
და სინანულს... სიყვარულს აგვივსებს მუჭებით!

2017

ლევანიკოს

მარტი ავიაო, მარტი-ქარიაო,
მარტი-უთავბოლო წვიმა,
ისე ჩაივლის და ისე ააპრილებს,
ისევე გაზაფხული გინდა,
მე არ მეავება,
მე არ მექარება,
თუნდაც ვერ ვიტანდე ქროლვას...
ჩემი საჩუქარი, ჩემი არსებობის
დიდი სიყვარული როა...
მარტი შენია და მარტში მომიმატე
რადაც უკვდავების მსგავსი,
რაა გაზაფხული... რაა ამინდები...
შენი არსებობის ფასი!

* * *

თეთრი ღამეების ფორიაქით
რატომ იტანჯები... ორი აბი,
- მერე ვინ გითხრა, რომ შემაწუხა,
წუთმა, საათებში არეულმა,
რადაც სხვანაირი სიმარტოვით,
უკვე მერამდენედ გალეულმა.

* * *

დრო გადის და ვერაფერი მასწავლა,
ამიხირდა, გაჯიუტდა, მერჩის...
მინორული სონეტებით დამღალა,
თუკი ასე გააგრძელებს... შემშლის!

* * *

გულნატკენის რომ მიიღებ შენდობას,
უფალი რომ სულ ბოლომდე გენდობა,
ყველაფერი რომ მიგასწრებს ფიცამდე...
ეგ სადღაა, იქეთკენ თუ იქამდე,
არასდროს რომ არ იჯერებ სადაოს...
რომ გგონია ბედისწერა „ლადაობს“!
დაასრულე “სახლობანას” თამაში?!
ფერები რომ აგერია გამაში.
მოგწოლია: სევდა... მელანქოლია,
ყველაფერი რომ ამაო გგონია,
არც იფიქრო გააუქმო ბილეთი,
“წვეულების” ...ხალხი როა მილეთის!

* * *

ლოდინით გავლილ მოსახვევებს,
ფართო შარა-გზას,
გაშლილ მთა-გორებს, ველ-მინდვრებით
გაწეწილ ქედებს,
გამოვატარე დარს თუ ავდარს ჩემი ფარაჯა,
დასველებული და გამშრალი
ათასგზის... ბევრჯერ.
რამე მითხარი რომ მოვიხსნა ისევ მგზავრივით,
დავადგე ბილიკს გაუთელავს ჯერაც ჩემამდე,
...როგორ ვიარო?! ნაბიჯები იყოს ქარივით,
და მხოლოდ ერთი ამოსუნთქვით
მოვხვდე შენამდე.

* * *

არავინ იცის სადაა ბოლო,
როდის მოსწყდება ყინულის ლოლო,
სად გაჩერდება ბორბალი ბედის,
როდის მოისმენ სიმღერას გედის,
რა ფერისაა თვალები უფლის,
სიცოცხლის წუთს რომ ყოველწუთს გჩუქნის,
არაფერს სხვისას არა აქვს ფასი,
თუ არ გაუგე „მულამი“, არსი.
არც სიკვდილია ალბათ ადვილი,
ამ ყველაფერზე არის გათვლილი!

* * *

გული ძგერს ჩქარეულ,
რა ძალა ჰქონია,
ტკბილ ფრანას, ჩურჩულით ჩაკითხულს, წონიანს,
იხარე, როგორც მე მახარებ ქალაუ,
ჩემო ურიცხვო, აუდიტორიავ!

* * *

ლამაზი გოგონა მოჰყვება
ქუჩაში წვიმიან ქვაფენილს,
გარედან არ იმჩნევს მოწყენას,
შიგნიდან - ზღვარზეა გაფრენის!

* * *

რას საყვედურობ, რა გინდა?
რა არ გასვენებს ვიცოდე,
შემოგაშველებ არჩევანს,
მერე რაც გინდა მიწოდე.
ნუ ემდურები ნურავის,
იყავი შენი განწყობით,
ვერ მოუხერხებ ვერაფერს
თუ არ გამოდის თანწყობით.
ხელი ჩასჭიდე რაც გერგო,
უნდა ატარო ბოლომდე,
თავი ხომ არ ხარ, გიღირდეს -
მარტოს, მანძილი სორომდე.
გაიხალისე გუნება,
შეხვდი ალიონს იმედით,
თორემ ამ წილა-ბოდლით
სამარის კართან მივედით!

* * *

რა სასაფლაო, რის ნიავი საფლავის ქვასთან,
ან რა სასმელი გაგიქარვებს - რა რას სჯობია,
ტკივილი ისე გემატება დროდადრო მძაფრად,
თითქოს ყინვაში გაგისროლეს დედიშობილა!

* * *

როცა საღ აზრს “აწვები”,
დრო აღარ გაქვს დაწერის,
ყველა - ფერი ხუნდება,
დრო რომ წაღმა ბრუნდება!
პ.ს უკუღმართობს თაობა,
რომ ვერ იგებს რაობას!

* * *

აღარ ვაპირებ ვიყო ჩუმი, “მიუსაფარი”,
როცა მიიღებ უსამართლოდ უსამართლობას,
ვისაც ვუყვარვარ, საამისოდ ჰქონდეთ საბაზი,
მაგრამ იმათაც, ვისაც ვტოვებ “სასამართლოსთან!”
P.s განწყობაა ნათელი,
აბდაუბდა ტექსტად,
მაგრამ მაინც მოვახერხე
“ჭორაობა” ლექსად!

2018

* * *

გაუთამამდი აქაო - სიცოცხლე მშვენიერია,
სანამ გაგიტეხს იხტიბარს,
ცხოვრებას შენი ერიოს!

2016

* * *

და ნოემბერი უქონელი როგორც გლახაკი,
არც გაზაფხული, არც ზამთარი - სევდის არაკით,
მიუსაფარი, უქონელი სითბოს, სიცივის,
აი, ეს არის სიდიადე მისი „სიმძიმის“,
მხოლოდ თვალები ნაღვლიანი, ცრემლით ნარევი,
ნოემბრის წვიმას რომ მიაგავს... გადასარევი!

2018 ნოემბერი

* * *

წვიმს - ნოემბერმა ჩამოუშვა სველი ფარდები,
მიიწურება შემოდგომა ამ წელს ასეთად,
წვიმს, გადარეულს ფოთოლცვენის ქარი ჩადგა და -
არც დეკემბრიდან არაფერი აღარ დარჩება,
წვიმს და მაცვებს ერთგულება წვეთის ასეთის,
რომ შეუძლია არავისში აღარ გამცვალოს,
წვიმს და „ხმაურით“ არ მანებებს თავს, რომ წავედი,
ვერ დავემალე... მადროვოს და სევდა მაცვალოს!

2018

* * *

გამოიდარა, ჩამორეცხა სევდის ფერები,
ამ უცნაური ხასიათით ისე გერევა,
ყოველი წვეთის ხმაური და სველი ვენები,
მოაქვს სიმშვიდე, მყუდროება და გეფერება“!

2018

* * *

როცა გიყვარს გაგიჟებით,
გულს გიჩქარებს ნაბიჯები,
როცა გხედავთ, კვდება ვნებით
იები და ნარგიზები,
ასე უნდა... ასე ალბათ!
იაზროვნო ცივად, საღად - არი ყალბი ემოცია
უგემური გემოსია,
ვერ გასწავლი ვერას ბრძენი,
როდის უთხრა - როგორ ელი,
როცა გელის, როცა ელი,
მონატრება არი სველი... ცრემლით ცხელით...
სიყვარულის... ყველაფერი არის რთული!
მაგრამ არის გაგიჟება, მილიონად რომ გიჯდება,
უკაპიკოც რომ ხარ ლორდი,
სიღარიბით არ დაღონდი,
სიყვარულის ერთეულებს
ვერ ედრება ფულის მადლი,
როცა გეტყვის, როცა ეტყვი...
რა უგონოდ შემეყვარდი!!

2019

* * *

ცრემლი არის: წყენის, ტკენის,
უიმედოდ ყოფნის სევდა,
მოწოლოლმა ყელში ბურთმა
თვალეზიდან რომ იხელთა...
გადმოცვივდა, არ დაეძებს,
აპირებდი თუ არ გსურდა, სხვებს ენახათ
შენი თოვლის შეკოწიწებული გუნდა!

2019

* * *

თუ არ გესმის ლექსის “მიქსი”,
იგრეკია შენთვის იქსი,
ვერ ამოხსნი განტოლებას,
ნუ ეცდები გატოლებას,
ნუ იდარდებ, არის პროზაც,
მოგაწოდებს სამყოფ დოზას!

2019

* * *

რამე მითხარი, დამიძახე, მეჩხუბე, დამგმე,
ამიყოლიე, სიგიჟემდე გავხდეთ ავები,
ოღონდ არასდროს მაგრძნობინო

თუ როგორ დამთმე
და გაიხურე მძიმე ხელით რკინის კარები.

2019

* * *

ნეტავ როდის გადაივლის ის თვე,
დააკვდება ზამთრის სახელს მთებთან,
ამინდებს რომ აუტანლად ითმენ,
ელი, როდის აყვავდება დეკა,
დაადნება არ მოსული თოვლი,
აჭრილ მიწას დაედება თექად,
ფრთებს შეისხამს ბელურები “ქროლვით”,
წვიმები რომ დაითვლება წვეთად.
მზე გააღლობს გაყალბებულ სითბოს,
გააცოცხლებს თავჩაქინდრულ იას,
მალე მოდი გაზაფხულო თორემ...
ამ ამინდებს არავისი ჰქვია.

2019

* * *

ვიღაცამ იცის არაბული, სხვამ - ბოტანიკა,
მესამე ისიც, ვისი სული გსურს და რა გინდა.
როგორ მოისხა ალუბლის ხემ ასე ნაყოფი,
როდის გაივლის მომავალთან დროის გამყოფი,
რამდენს აითვლის არსებობის პირამიდები,
ვინ მოიგონა: ლეგენდები, ჭორი, მითები,
იციან, როგორ დაიტოვონ ხურდაც თავისთვის,
საყვედურიც რომ არ დასცდება ვინმეს ამისთვის,
იცის რამდენი წვეთი დნება მთიდან იორში,
დემონია თუ ანგელოსი გალაკტიონში,
რატომ აეჭრა ბახუსიანს ასე იერი,
მაძღარს რა გულით ენანება ლუკმა მშიერის,
გამოსავალი არ არსებობს ალბათ აქედან,
ამდენი „ცოდნით“ კაცთა მოდგმა უკვე დაბერდა!

2018

სარჩავი

რედაქტორის წინასიტყვაობა.....	3
ავტორის წინასიტყვაობა.....	6
მე მავაბიეთ... ..	9
* * * (თუ წვიმის ხმაური).....	10
...გალაკტიონი	11
მონატრება.....	12
* * * (ფეხაკრებით გავიარე).....	13
გური თალაკვაძის.....	14
თამარს, ჩამს მებობარს.....	15
ანა კალანდაძის.....	16
* * * (მერე რაა).....	17
* * * (გავლილს - გამოივლი).....	18
მამას.....	19
* * * (უსმენენ სონატებს).....	20
* * * (სხვას ვიპოვი, აბა რა).....	20
* * * (ოქტომბერია...).....	21
* * * (პატარა ქუჩა).....	22
დრო.....	23
* * * (აიწურება ბროწეულები).....	24
* * * (რამე უნდა მკოთხო?).....	25
* * * (მყავს ორი ვაჟი).....	26
* * * (არ მიყვარს ზაფხულში).....	26
* * * (არაფერს ისეთს).....	27
ბერიკაბი.....	27
* * * (ქვიშის საათი).....	28
დღიურები.....	29
* * * (ეჭვი და კამათი).....	30
* * * (რამ შეგცვალათ ასე უცებ, ქალბატონო?).....	31
* * * (სამყაროს ნაწილი).....	31
რატომ?!.....	32
* * * (გაავდრებულს გაგიშვებ გულს).....	33
* * * (არაფერია სამრახისი თუკი).....	34
* * * (სიკვდილის შიშმა თუ დაგრია).....	34
* * * (ეს შემოდგომა ისე აპირებს წასვლას).....	35
* * * (ნუ მითვალთვალებ, მთვარევ).....	35
* * * (სამართალი სადღაც ბავშვებს).....	36
* * * (ლამის მზემ დამნათა მთვარედ).....	37
სტუმარი.....	38

* * *	(ეს შემოდგომას სითბო ეშურება).....	39
* * *	(ეული ველი სადაც მინდორში).....	40
* * *	(შემოდგომა სავსეაო მარაგით).....	42
* * *	(ისე ურცხვად მიმატოვა ყველამ).....	43
ბებოს		44
* * *	(ნაკიანი თებერვალი).....	45
ქარნაღებუი		46
* * *	(ალბათ რაღაც მაკლია).....	47
* * *	(გაზაფხულს მოგიყვან იეგის იმედად).....	48
* * *	(დარდის შენ რა იცი).....	48
* * *	(...და რომ მოვკვდები).....	49
* * *	(რა გაცვეთილი ლეგენდა).....	50
* * *	(- რამეს აღარ მეტყვი?).....	51
* * *	(რა გატირებს?).....	52
* * *	(ჩემო ვიოლინოვ).....	53
* * *	(ცხოვრება - შანსია).....	54
* * *	(გაზაზე რომ დგახარ).....	55
* * *	(ნაღვლიანი, საამო).....	56
* * *	(არ ვემდური არავის).....	56
* * *	(ჰლარით მეტი ან ნაკლები).....	57
* * *	(როგორც გინდა შეაფასო).....	58
* * *	(წავა, მოივლის მთებს).....	59
* * *	(ნისლიანი სადამო).....	60
* * *	(დიღინით გავლილ მოსახვევებს).....	60
* * *	(ზღვამ ტალღებით გადაშალა).....	61
* * *	(უხასიათობის ხასიათმა).....	61
* * *	(ბოთლში მომწყვდეული ისტორიით).....	62
* * *	(საგაზაფხულოდ რატომ არ თბილა?).....	63
* * *	(არ მინდა ღიმილი).....	63
* * *	(ათასჯერ დაწერ და დახევე).....	64
* * *	(არავის უკითხავს).....	65
* * *	(გაუგონარი სისასტიკით მსრესენ წამები).....	66
* * *	(ამოტილი მთების კალთებს).....	67
* * *	(ნუ დამიჯერებ).....	67
შვილებს!		68
* * *	(დროდადრო უძილო მოველი განთიადს).....	69
* * *	(- ეწევი?).....	70
* * *	(დაგაცდი და გადაივლის შემოდგომაც).....	72
* * *	(პატარა გოგოა).....	73
* * *	(ლექსი ისე მოგადგება მგლურად).....	74

* * *	(ქარს ათხოვე ბარათი).....	75
* * *	(არ გეყვინოს).....	76
* * *	(ოქტომბერი).....	76
* * *	(ჩანახატი).....	77
* * *	(ჩემი მუსიკა რომ ხარ).....	78
* * *	(ცარიელია გზა).....	78
* * *	(დაცარიელი, ამოგწურეს).....	79
* * *	(ისეთი თბილი, ნალვლიანი თვალები ჰქონდა).....	80
* * *	(საით მიდიხარ).....	81
„ნატყვის ხე“		82
* * *	(რას სთავაზობ საპირწონეს?).....	83
* * *	(არაფერზე არ იცვლება ამინდი).....	83
* * *	(არაფერს ისე აღარ დავემებ).....	84
* * *	(სანამდეც მიყვარხარ გითხარი).....	85
დანაშაული		86
* * *	(ნავი და ნაპირი).....	87
ლევანიძეს		88
* * *	(თეთრი ღამეების ფორიაქით).....	89
* * *	(დრო გადის და ვერაფერი მასწავლა).....	89
* * *	(გულნატყვნის რომ მიიღებ შენდობას).....	90
* * *	(ლოდინით გავლილ მოსახვევებს).....	91
* * *	(არავინ იცის სადაა ბოლო).....	92
* * *	(გული ძგერს ჩქარულ).....	93
* * *	(ღამეაზი გოგონა მოჰყვება).....	93
* * *	(რას საყვედურობ, რა გინდა?).....	94
* * *	(რა სასაფლაო, რის ნიავი საფლავის ქვასთან).....	95
* * *	(როცა საღ აზრს აწვები).....	95
* * *	(აღარ ვაპირებ ვიყო ჩემი).....	96
* * *	(გაუთამამდი აქაო).....	97
* * *	(და ნოემბერი უქონელი).....	97
* * *	(წვიმს - ნოემბერმა ჩამოუშვა სველი ფარდები).....	98
* * *	(გამოიდარა).....	99
* * *	(როცა გიყვარს გაგიჟებით).....	100
* * *	(ცრემლი არის: წყენის, ტკენის).....	101
* * *	(თუ არ გესმის ლექსის მიქსი).....	102
* * *	(რამე მითხარი).....	102
* * *	(ნეტავ როდის გადაივლის ის თვე).....	103
* * *	(ვიღაცამ იცის არაბული).....	104

შორენა თალაკვაძე
(ოპო)

გურბის ქარი
ლექსები

այ նշովն եմպիո-յեյնն օշմնա,
Քաղաղոր իյ կյովն-ճպշտն օշմնա իւ,
Եւր-եղբն Կոնցլոն ճպշտն օշմնա...
Ես եղով զյրո հոմ զյրով թողա,
... այ յի օշմնա...
Դրո թե զյրով թոյ... ճպշտն Դրոն.

